MES 6 22 0001650744

23/12/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 9.12.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
3. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
4. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
5. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
7. **ლევან მოსახლიშვილი -** სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;

8. **ირინა გველესიანი - სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
9. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
10. **ეკა შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიების და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომა დგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულება	სტატუსი	საკითხი
1	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
1	ირმა გრძელიძე		ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი	II
2	ნინო ქიმერიძე		ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი	II
3	რევაზ ჯორბენაძე			II

		სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	
4	სანდრო ტაბატაძე		ასოცირებული პროფესორი	II
5	სალომე დუნდუა			II
6	ალექსანდრე კუხიანიძე			II
7	მალხაზ მაცაბერიძე			II
8	მარეხი დევიძე			II
9	ირაკლი ბრაჭული	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	რექტორი	III
10	პაატა გოგიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
11	მანანა ტაბიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	III
12	ეკა დუღაშვილი			III
13	ნათია სადღობელაშვილი			III
14	სოფო კეკუა			III
15	კესო გეჯუა			III
16	მარინე კუხალაშვილი			III
17	ბაია ჯაფარიძე			III
18	ვახტანგ ლეჟავა		რექტორი	IV
19	ნათია სამუშია		პრორექტორი	IV
20	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	IV
21	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	IV
22	მარიამ მოქია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	IV
23	თამუნა გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	IV
24	შაკო თავაძე		სტუდენტების დეკანი	IV
25	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	IV
26	მარიამ ჯაფარიძე			IV

		ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	
27	თეო ურუშაძე		აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სკოლის დეკანი, პროფესორი	IV
28	ნატო კობახიძე		სატყეო საქმის პროგრამების ხელმძღვანელი, სადოქტორო სკოლის კოორდინატორი, პროფესორი	IV
29	ცოტნე სამადაშვილი		საგნის "მიწათმოქმედების საფუძვლები" პედაგოგი, პროფესორი	IV
30	დავით ბედოშვილი		საგნის „მცენარეთა სელექცია“ პედაგოგი, პროფესორი	IV
31	ამირან თხელიძე		საგნის „აგროქიმია“ პედაგოგი, პროფესორი	IV
32	ია ფიფია		საგნის „მცენარეთა გენეტიკა“ პედაგოგი, პროფესორი	IV
33	კახაბერ ქაშიბაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	V
34	ვლადიმერ ღლონტი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი	V
35	მარინა ქორიძე		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	V
36	თეა ქოიავა		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმღვანელი, ასოცირებული პროფესორი	V

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	დავით გეგეჭკორი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
2	სოფიო მიდელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	რამაზ ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ანა ჭრელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ნინო ლომიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
10	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველკლწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

√ დიახ

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა, სხდომის დღის წესრიგს პირველ საკითხად დამატებოდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის სახელწოდების ცვლილების საკითხის განხილვა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის სახელწოდების ცვლილების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველკლწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მეონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის სახელწოდების ცვლილების საკითხის განხილვა

უამდგომლობა დააყენა სსიპ - განათლების ხარსიხის განვიტარების ეროვნული ცენტის უმაღლესი განათლების ხარსიხის უზრუნველყოფისმ სამსახურის თანამშრომელმა. ან სხდომაზე დამსწრე წევრებს გაცნო სსიპ - ილიას სახელმწიფ ოუნივერსიტეტდან შემოსული კორესპონდენცია, სადაც აღწერილი იყო, რომ „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)” ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის სახელწოდების დაზუსტება განპირობებულია ABET-ის ექსპერტების რეკომენდაციით, მიზნად ისახავს კომპიუტერული ინჟინერიის ინგლისურენოვანი პროგრამის გამიჯვნას იდენტური სახელწოდების ქართულენოვანი პროგრამისგან და არ იწვევს მის შინაარსობრივ და სტრუქტურულ ცვლილებებს. ასევე დაწესებულება ითხოვდა უფლებას, რომ 2023 -2024 ანკეტა-კითხვარში აღნიშნული პროგრამა მივუთითოთ განახლებული (დაზუსტებული)

სახელწოდებით, კერძოდ : Computer Engineering (International) / კომპიუტერული ინჟინერია (საერთაშორისო).

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:10
დასრულების დრო: 14:13

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის სახელწოდების ცვლილების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: Computer Engineering (International) / კომპიუტერული ინჟინერია (საერთაშორისო).

2. **მეორე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი 0179, ილია ჭავჭავაძის გამზ. №8 და №14, კორპუსი IV, VI
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა ნინო ჭალაგანიძემ და დავით ჩოჩიშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა დავით გეგეჭკორმა განაცხადა, რომ 2022 წლის 19 ოქტომბერს განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით. ვიზიტი განხორციელდა კოლეგიალური გარემოში, ჩატარდა ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამა შეაფასა დადებითად. პროგრამა სრულად შეესაბამებოდა ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ საკმაოდ ხანგრძლივად იმუშავა პროგრამის შემუშავებაზე, პროგრამაში ჩართული იყო ძლიერი აკადემიური პერსონალი, მაღალი იყო ინტერნაციონალიზაციის ხარისხი. ფაკულტეტი მზად იყო პროგრამის ჯეროვნად განხორციელებისათავის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების საკითხით. მას აინტერესებდა იყო თუ არა მოთხოვნა ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზარზე და როგორ ხედავდა უნივერსიტეტი პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამების სააკრედიტაციოდ წარდგენამდე დაწესებულება ახორციელებდა სერიოზულ ბაზრის კვლევას. აღნიშნული პროგრამა ცალსახად გახლდათ მოთხოვნადი, კურსდამთავრებულები დასაქმდებოდნენ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. ადამიანური რესურსების ბაზა, რომელიც გააჩნდა დაწესებულებას და შედეგები რომელიც მიიღებოდა ფაკულტეტზე სოციალური და პოლიტიკური მიმართულებებით იძლეოდა იმის მოლოდინს, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებოდათ შესაბამისი დასაქმების მაჩვენებელი. პროგრამის განხრციელებაში ასევე ჩართულები იყვნენ პრაქტიკოსები, რაც სტუდენტების სამომავლო დასაქმების კარგ შესაძლებლობას წარმოადგენდა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ არჩევით კურსში "ლიდერობა და ორგანიზაცია" მითითებული იყო სამაგისტრო საფეხურის შეუსაბამო, საბაკალავრო დონის ლიტერატურა. შინაარსობრივი თვალთახედვითაც სახელმძღვანელო იყო გარკვეულწილად სუსტი, ვინაიდან მოიცავდა მხოლოდ საფუძვლებს. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა თუ რა გახლდათ აღნიშნული სახელმძღვანელოს სამაგისტრო დონის კურსზე გათვალისწინების მიზეზი.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას ჰქონდა ქულობრივი გრადაცია. აღნიშნული გრადაცია მოიცავდა საკმაოდ მსხვილ ქულებს. მას აინტერესებდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შემუშავებული დოკუმენტი სადაც აღწერილი იყო ხდებოდა თუ არა შემდგომ შეფაების პროცესში მსხვილი ქულების დამატებით ჩაშლა.
დაწესებულების წარმომადგენელმა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ქულობრივ გადანაწილებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არსებობდა შეფასების რუბრიკების დოკუმენტი, რომელიც გახლდათ ერთიანი ვრცელი დოკუმენტი, თუმცა დაკონკრეტებული დოკუმენტაცია რუბრიკების მიმართულებითაც არსებობდა ფაკულტეტზე.
დაწესებულების წარმომაგდენელმა „ლიდერობის და ორგანიზაციის" კურსთან და ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კურსი გახლდათ არჩევითი, საგანი გადმოტანილი იყო „პოლიტიკის მეცნიერების" საგანმანათლებლო პროგრამიდან, თემატიკა იყო საჭირო, კურსი გათვალისწინებული იყო პროგრამაში სტუდენტების გამოკითხვების საფუძველზე და მათი სურვილის მიხედვით. აღსანიშნავი იყო, რომ ვინაიდან კურსი გადმოტანილი იყო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის წინამორბედი პროგრამიდან ვეღარ მოხდებოდა ლიტერატურის კორექტირება. შენიშვნა გასათვალისწინებელი იყო, თუმცა მიმდინარე ეტაპზე ლიტერატურის ცვლილება ვერ განხორციელდებოდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:25
დასრულების დრო: 14:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმის წარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის ანალიზის და საჯარო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

აგანმანათლებო დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია:
რეკომენდირებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის ""ლიდერი და ორგანიზაცია"" შინაარსი და სახელმძღვანელო ლიტერატურა და შეივსოს კურსის სახელწოდებისა და სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი საკითხებით და რესურსით.

3.მესამე საკითხი : ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 21 ნოემბერი, გადაწყვეტილება N 211
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართველურ ენათმეცნიერებაში; ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართულ ლიტერატურაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი 0179, ილია ჭავჭავაძის გამზ. №53ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
ექსპერტმა განაცხადა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი იყო „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შედგებოდა ორი მოდულისაგან, „ქართველური ენათმეცნიერება“ და „ქართული ლიტერატურა“. კურსდამთავრებულს არჩეული მოდულის შესაბამისად მიენიჭებოდა ქართველიური ენათმეცნიერების ან ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმული იყო რეკომენდაციები და რჩევები, რეკომენდაციების დიდი ნაწილი დაწესებულების მიერ გაზიარებული იყო. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო წერილი არგუმენტირებული პოზიციის შესახებ რომელსაც გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი. პროგრამის შეფასების პროცესში, ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო უმეტესწილად დარგობრივ მახასიათებელს, რომლის შემუშავებაში თავად უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმული იყო რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფრო მეტად ყოფილიყო ჩართული სწავლის შედეგების შეფასების პროცესში. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მართლაც, რომ აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესში. ექსპერტების მიერ გამოთქმული იყო მოსაზრება სამიზნე ნიშნულების შერჩევის პროცესში ჩართული ყოფილიყო სხვა დაინტერესებული მხარეებიც, ვინაიდან აღნიშნულ გამოკვეთილი იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფრო მეტი აქტიურობა. აღნიშნულ მითითებას დაწესებულების წარმომადგენელი იზიარებდა და გათვალისწინებული იქნებოდა სამომავლოდ.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულება ყურადღებით ეკიდებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმულ ყველა რეკომენდაციას პროგრამის სამომავლო განვითარებისათვის და პერსპექტივისათვის. უნივერსიტეტში ფილოლოგიის და ქართული ფილოლოგიის არსებობას ჰქონდა ეგზისტენციალური მნიშვნელობა. უნივერსიტეტი მოწადინებული იყო დაახლოებოდა მეცნიერების თანამედროვე სტანდარტებს, შესაბამისად მუდმივად იზრუნებდა პროგრამის დახვეწაზე და მოდერნიზებაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გასათვალისწინებელი იყო, თუმცა მათ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების ნაწილზე ჰქონდათ თავიანთი პოზიცია. მაგლითად, ექსპერტების მოსაზრება გახლდათ ძველი ქართული ენის როგორც დისციპლინის გათვალისწინება პროგრამაში. აღსანიშნავი იყო, რომ ძველი ქართული ენა ისწავლებოდა ბაკალავრიატის საფეხურზე სხვადასხვა საგნების ჯგუფში.
ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენდა სახელმძღვანელოთა ჩამონათვალში დისკუსიური ხასიათის წიგნის შეტანა, დაწესებულება იზიარებდა აღნიშნულ რეკომენდაციას, მიუხედავად იმისა რომ არაერთი დისკუსიური ხასითის ნაშრომი უკვე იყო გათვალისწინებული სახელმძღვანელოების ნუსხაში. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა არჩევითი საგნების ნუსხიდან სავალდებულო საგნებში გადატანილი ყოფილიყო ლაზური, მეგრული და სხვანური. მიზეზი თუ რატომ არ ისწავლებოდა ლაზური, მეგრული და სხვანური სავალდებულო საგნების ბლოკში გალხდათ ის, რომ ხშირ შემთხვევაში კონტიგენტი არ გამოხატავდა დაინტერესებას. მაგალითად, მათ ჰყავდათ წოლა-თუშურის მცოდნე მაგისტრანტი, რომელსაც ამუშავებდნენ უშუალოდ წოლა-თუშურში, მისთვის სპეციალურად იყო მოწვეული ლექტორი და მისი სამაგისტრო ნაშრომი გაკეთებული იყო აღნიშნული მიმართულებით. აღნიშნული სტუდენტისთვის ლაზური, მეგრული და სვანური დიალექტის თეორიული სწავლება გათვალისწინებული იყო ქართველური დიალექტოლოგიის კურსში. რაც შეეხებოდა მეტყველებას, წარმოდგენილი იყო არჩევითი კურსის სახით. ასევე პროგრამაში გათვალისწინებული იყო პარადიგმატური სისტემა. ზმნური და სახელური პარადიგმების სწავლება. შესაბამისად ცალკე თეორიული კურსის მომზადების აუცილებლობას დაწესებულება ვერ ხედავდა. ვიზიტის დროს, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს განუმარტეს, რომ ქართველური ენაკილოების სწავლება გულისხმობდა ქართველური დიალექტოლოგიის სწავლებასაც. ქართველური მეტყველება არსებობდა დიალექტოლოგიური ფორმით, რომელსაც თეორიული გრამატიკის სახით ნამდვილად ასწავლიდნენ. პროგრამა გახლდათ ერთიანი, მხოლოდ დაყოფილი იყო მოდულებად. შესაბამისად სავალდებულო საგნების ჩამონათვალის შედგენისას არ ჰქონდათ თავისუფლება და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა არჩევით საგნებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო არჩევითი საგანი „ქართული როგორც უცხო ენა“, ექსპერტების რჩევა გახლდათ აღნიშნული საგნის ამოღება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საგანი გახლდათ აქტუალური და დამატებით კარგი საშუალება იქნებოდა მაგისტრანტებისათვის გამოემუშავებინათ უნარი ესწავლებინათ ქართული ენაიმ პირებისათვის ვისაც ექნებოდა ქართული ენის შესწავლის სურვილი. შესაბამისად მათი პოზიციის თანახმად აღნიშნული საგანი უნდა დარჩენილიყო არჩევითი საგნების ბლოკში.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საგანი ექსპერტების პოზიციით არ შეესაბამებოდა პროგრამის მიზნებს და შედგებს. დარგობრივი მახასიათებელი დაწესებულებას ავალდებულებდა დარგის განვითარებას, მათ მიზნებში ასახული იყო, რომ პროგრამას შრომის ბაზრისათვის უნდა მოემზადებინა კვალიფიციური კადრი, შესაბამისად იმის ფონზე როდესაც საქართველოში იზრდებოდა უცხოელების რაოდენობა რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ქართული ენის შესწავლით და საქართველოში ამავდროულად ცხოვრობდნენ ეთნიკური უმცირესობები, დაწესებულებას უნდა მიეცა მაგისტრანტებისათვის შესაძლებლობა დასაქმებულიყვნენ აღნიშნულ სფეროში, გაევლოთ შესაბამისი კურსები იმისათვის რომ განევითარებინათ თავიანთი პროფესიული საქმიანობა ფორმალურ თუ არაფორმალურ გარემოში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ლიტერატურის მოდულთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე განაცხადა, რომ რეკომენირებული იყო არჩევითი საგნების დამატება. ვიზიტის დროს მათი მხრიდან აღინიშნა, რომ წინა პროგრამისგან განსხვავებით, აღნიშნულ პროგრამაში შემცირებული იყო არჩევითი საგნების რიცხვი, თუმცა მათ გაითვალისწინეს რეკომენდაცია და რამოდენიმე საგანი დამატებული იყო არჩევით ბლოკში. დამატებული იყო მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის უფრო მეტად გამაღრმავებელი კურსი, მე-19 საუკუნის ლიტერატურული ჟანრები, აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურა და დავით გურამიშვილი. დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა აღნიშნული რეკომენდაცია და სრულად იზიარებდნენ ექსპერტების მოსაზრებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ ზეპირი მოსმენის დროს მისთვის კიდევ უფრო ნათელი გახდა რეკომენდაციების არსი. მას ჰქონდა ექსპერტებთან ორი შეკითხვა. პირველი შეკითხვა შეეხებოდა პროგრამაში ძველი ქართული ენის შეტანის საკითხს. ვინაიდან საბაკალავრო საფეხურზე ისწავლებოდა ძველი ქართული ენის კურსი, საინტერესეო იყო ხომ არ გულისხმობდნენ სამაგისტრო საფეხურზე აღნიშნული კურსის დამატებით პრობლემატიკის შეტანას ან ჩაღრმავებულად საკითხების გათვალისწინებას. ასევე როგორც აღინიშნა ძველი ქართული ენის საკითხები მოცული იყო სხვადასხვა კურსებში. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას კვლევის მეთოდების საგანთან დაკავშირებით, საგანი ნაწილობრივ ფარავდა როგორც ლინგვისტიკის ასევე ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებს. შესაბამისად, მას აინტერესებდა რას გულისხმობდნენ ექსპერტების აღნიშნული რეკომენდაციით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ საბაკალავრო პროგრამაში არსებობდა საგანი „ძველი ქართული თხზულებების მწერლების ენა“. აღნიშნული საგნის მიზანი და ამოცანები გახლდათ სულ სხვა რამ. ძველ ქართულში წარმოდგენილი იყო ძალიან ბევრი მწერალი თავისი სპეციფიკური ენით. ძველი ქართული გახლდათ ქვაკუთხედი როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამისათვისაც. საგანი „ძველი ქართული“ აღნიშნული სათაურით საგანი არ იყო წარმოდგენილი არც საბაკალავრო და არც სამაგისტრო საფეხურზე. ასეთი საგანი რომც ყოფილიყო წარმოდგენილი მისი მოცულობა გახლდათ სულ სხვა, ის აძლევდა ფართო ცოდნას. ვინაიდან არც საბაკალავრო და არც სამაგისტრო დონეზე ასეთი საგანი არ იყო წარმოდგენილი, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იყო ასეთი საგანი გათვალისწინებული ყოფილიყო პროგრამაში. გაიზიარებდნენ თუ აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულების წეარმომადგენლები ეს უკვე მათი გადასაწყვეტი გახლდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბაკალავრო პროგრამაში მართლაც არსებობდა კურსი რომელიც მოიცავდა ძველ ქართულ ენას და მას ერქვა „ძველი ქართული საეკლესიო და საისტორიო მწერლობის ენა“ და მხოლო აღნიშნული სახით იყო ძველი ქართული ენა შეთავაზებული სტუდენტებისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მიუხედავად აღნიშნულისა საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე აუცილებლად იქნებოდა განსხვავება დონეებს შორის.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ განაცხადა, რომ როგორც აღნიშნული იყო პროგრამაზე დაშვებისას მსურველს უნდა ჩაებარებინა წერითი გამოცდა. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს და დაინტერესდა ქონდათ თუ არა მათ შესაძლებლობა ენახათ მიღების დროს წერითი გამოცდის ჩატარების რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე მას აინტერესებდა არსებობდა თუ არა წერითი გამოცდის საკითხების ჩამონათვალი. ვინაიდან პროგრამა იყო აკრედიტებული და მიმდინარე ეტაპზე გადიოდა რეაკრედიტაციის პროცესს, საინტერესო იყო პირველი აკრედიტაციის შემდგომ გადამუშავებული იყო თუ არა მეგრულ-ლაზურის და სვანური ენის სილაბუსი. დამატებით მას სურდა მოესმინა განმარტება პირველი სტანდარტის 1.4 კონპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ უნდა მომხდარიყო დოკუმენტაციის შინაარსობრივი და ტექნიკური გასწორება. მას აინტერესებდა თუ რა იგულისხმებოდა შინაარსობრივ ხარვეზში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში

იყო ერთგვარი მინიშნება იმის თაობაზე, რომ პროგრამის მიზნები და შედეგები არ შეესაბამებოდა აღწერილ დარგობრივ კომპეტენციებსა და უნარებს. შესაბამისად მან მიმართა ექსპერტებს გაეკეთებინათ განმარტება პროგრამა აცდენილი იყო თუ არა დარგობრივ მახასიათებელს და გადიოდა თუ არა შედეგზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ საგანში „კვლევის მეთოდები ქართულ ფილოლოგიაში“ მეთოდები იყო უნივერსალური და მოიცავდა როგორც ქართული ენათმეცნიერების ასევე ქართული ლიტერატურის კვლევის მეთოდებს, მაგრამ სასწავლო მასალა დიდწილად შეტანილი იყო ქართველური ენათმეცნიერებიდან. საგნის ხელმძღვანელები იყვნენ როგორც ქართული ენის ასევე ქართული ლიტერატურის პროფესორები და სწორედ აღნიშნულმა განაპირობა მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია იმის თაობაზე რომ სასწავლო მასალა შეტანილი ყოფილიყო ქართული ლიტერატურიდანაც იმავე დოზით როგორც ეს წარმოდგენილი იყო ქართველური ენათმეცნიერებიდან. რაც შეეხებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, კანონის თანახმად ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს ეძლეოდა შესაძლებლობა შეეცვალა პროფესია და დაუფლებოდა სხვა პროფესიას მაგისტრატურაში, ამიტომაც დაწესებულებას წინაპირობად გათვალისწინებული ჰქონდა ორ კომპონენტიანი დარგობრივი გამოცდა. გამოცდა მოიცავდა წერით დავალებას და გასაუბრებას, ექსპერტებმა ნახეს შესაბამისი დოკუმენტაცია სადაც გაწერილი იყო მოთხოვნები. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს განუმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე ძირითადად მიდიოდნენ მათი კურსდამთვარებულები და სხვა უნივერსიტეტების მსგავსი პროფილის სტუდენტები და მათ არ ჰქონდათ შემთხვევა, როდესაც პროგრამაზე ჩარიცხვის სურვილი გამოეთქვა დაშორებული პროფილის მქონე სტუდენტს.

ექსპერტმა დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ჯგუფის მთავარი საქმიანობა იყო დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის დადგენა, ვიანიდან პროგრამა აწყობილი უნდა ყოფილიყო დარგობრივი მახასიათებლით წარმოდგენილი სტანდარტის მიხედვით. დარგობრივი მახასიათებელი მიუთითებდა, რომ თუ შეიქმნებოდა სამაგისტრო პროგრამა მხოლოდ ქართულ ენასთან დაკავშირებით საკმარისი იქნებოდა ქართული ენის ფონეტიკის, მოროლოგიური, სინტქასური საკითხების სამაგისტრო დონეზე ღრმა ცოდნა. მაგრამ, როდესაც პროგრამაში იყო მოდული რომელსაც ერქვა ქართველური ენათმეცნიერება იქ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ქართული და/ან მეგრული, ლაზური, სვანური ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის სისტემური ღრმა ცოდნა. დაწესებულების არგუმენტი, რომ სტუდენტები მეგრულის, ლაზურის და სვანურის საკითებს ეცნობოდნენ ქართველური დიალექტოლოგიის კორპუსიდან ეცნობოდნენ გასაგები იყო, მაგრამ როდესაც პროგრამა მოიცავდა მოდულს ქართველურ ენათეცნიერებაზე იქ სწორედ მეფრულის, ლაზურის, სვანურის სავალდებულო კურსები უნდა ყოფილიყო მითითებული დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. რაც შეეხებოდა საგანს „ქართული როგორც უცხო ენა“, ის გახლდათ მეთოდიკის საგანი, ხოლო ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ვერ ფარავდა მეთოდოლოგიურ და პედაგოგიურ საკითხს, შესაბამისად ექსპერტების მოსაზრებით აღნიშნული საგანი ამოღებული უნდა ყოფილიყო პროგრამიდან.

საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე დაინტერესდა პროგრამის მიზნები და შედეგები იმ სილაბუსების მიხედვით, რომლებიც შეისწავლეს ექსპერტებმა სცილდებოდა თუ არა დარგობრივი მახასიათებლის მოთოვნებს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მათ დასკვნაში წარმოდგენილი იყო სრული ინფორმაცია, ის კორპუსი რომელსაც არ შეეხო მათი რეკომენდაცია და რჩევა აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, ხოლო მათ მიერ გაცემული რეჩევები და რეკომენდაციების მიმართული იყო პროგრამის დახვეწისათვის. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ სხვადასხვა კურსის ფარლებში ჯგუფმა აღმოაჩინა ტექნიკური და შინაარსობრივი შეუსაბამობები, რის თაობაზეც დაწესებულების ეცნობა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა წინა აკრედიტაციის შემდგომა მეგრული-ლაზური და სვანურის სილაბუსების გადამუშავებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ განსაკუთრებული ცვლილებები არ განხორციელებულა ვინაიდან სწავლების სისტემა არ შეცვლილა, მოხდა

მხოლოდ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სილაბუსების აწყობა. განახლდა ლიტერატუტრა. რაც შეეხებოდა „ქართული როგორც უცხო ენა“ საგნის ამოღებას, საგანი გახლდათ არჩევითი, რაც დაწესებულების მოსაზრებით არ მოითხოვდა რადიკალურ ნაბიჯებს. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ მეგრულ-ლაზურის და სვანურის თეორიულ საკითხებს არ მოიცავდა მხოლოდ ქართველური დიალექტოლოგია, ის წარმოდგენილი სხვა საგნებშიც. მათ ჰყავდათ სტუდენტების მცირე კონტიგენტი, შესაბამისად მათი ინტერესებიდან გამომდინარე შეთავაზებული იყო არჩევითი საგნები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ არჩევითი საგანი პროგრამაში ავსებდა ძირითად პროფილურ საგნებს. რაც რჩებოდა ძირითად საგანში აუთვისებელი ივსებოდა არჩევითი საგნით, შესაბამისად ის ისევე შეესაბამებოდა პროგრამის პროფილს როგორც ძირითადი საგანი.

საბჭოს წევრი, ირინა გველესიანი დაინტერესდა თუ რა ღონისძიებების გატარებას გეგმავდა დაწესებულება სტუდენტების კვლევით-სამეცნიერო საქმიანობაში ჩასართავად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ყოველწლიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ კონფერენციაში, რომელიც იმართებოდა თავად მათ უნივერსიტეტში, იბეჭდებოდა სტუდენტების თეზისები, ჰქონდათ საწრეო აქტივობები, საველე პრაქტიკები დიალექტოლოგიაში. ტექნიკური თვალსაზრისით რეგულარულად ხორციელდებოდა სტუენტების ინფორმირება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგრანტო პროექტებთან დაკავშირებით, მაგისტრანტებს შეთავაზებული ჰქონდათ შიდა საგრანტო კონკურსები, სადაც მათ შეეძლოთ წარმოედგინათ თავიანთი პროექტი და მიეღოთ დაფინანსება. ასევე შესაძლებელი იყო მაგისტრანტს სურვილი ჰქონოდა სტატიის გამოქვეყნების ან სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის, რის შესახებაც ის ინდივიდუალურად მიმართავდა დაწესებულებას. ასევე სამეცნიერო თანამშრომლობის ფარგლებში, ყოველწლიურად ცხადდებოდა სტაჟირებები სხვადასხვა ორგანიზაციებში და სტუენტები მონაცვლეობით იღებდნენ აღნიშნულ სტაჟირებებში მონაწილეობას.

საბჭოს წევრმა, ეკა შაკიაშვილმა განმარტება სთხოვა საბჭოს წევრს „კვლევის მეთოდების“ და „აკადემიური წერის“ კურსში გამოყენებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით. ასევე ერთერთ სილაბუსში ავტორად მითითებული იყო აწგარდაცვლილი პრფესორი, შესაბამისად მას აინტერესებდა რატომ ვერ შეძლო დაწესებულებას აღნიშნული პიროვნების შემცვლელის მოძიება და სთოვა განემარტა რა გახლდათ ამ გარემოების არსებობის მიზეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ერთი და იგივე სახელმძღვანელო მითითებული იყო ორ ძირითად კურსში, სახელმძღვანელოთი ისწავლებოდა მხოლოდ ტექნიკური საკითხები. პარალელურად არსებობდა რიდერებიც. რაც შეეხებოდა სილაბუსის მოდიფიცირებას და ავტორის ჩაბაცვლებას, არსებული პრაქტიკით გარდაცვლილი ავტორის სახელი რჩება სილაბუსის ავტორის სახით იმისათვის რომ არ აკარგულიყო მისი წვლილი. მიმდინარე ეტაპზე სილაბუსი გადამუშავებული იყო და საგანს კითხულობდა ახალგაზრდა კადრი.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ ერთერთი რეკომენდაცია ეხებოდა ქართული ენის ცოდნის დადასტურების წესის არსებობას. პროგრამაზე მიღების წინაპირობებში ერთერთი პუნქტი ეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვას, რომლიც ამავდროულად რეგულირდებოდა შესაბამისი ბრძანებით. მას აინტერესებდა ირიცხებოდნენ თუ არა სამაგისტრო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეები. ბრძანება ავტომატურად გულისხმობდა ვალიდური სერთიფიკტის წარმოდგენას ქართული ენის B2 დონეზე ფლობის შესახებ ან შიდა გამოცდის, ინტერვიუს ჩატარებას. მას ასევე აინტერესებდა პრაქტიკაში როგორ ახორციელებდა დაწესებულება უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღეას პროგრამაზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა მსგავსი გამოცდილება. რეკომენდაცია გამოწვეული იყო იმით, რომ ნათლად ყოფილიყო დარეგულირებული მიღების საკითხი პროგრამის წინაპირობებში. ვიანიდან მიმდინარე ეტაპისათვის არ ხდებოდა ვალიდური სერთიფიკატის გაცემა, რომელსაც აღიარებდა ყველა უნივერსიტეტი ისევ დაწესებულებას

ევალებოდა ქართული ენის ცოდნის შემოწმება და წინაპირობებში აღნიშნული აქტივობის რეგულირება.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე ეტაპზე პროგრამაში ჩართული იყო ოთხი პროფესორი, ორი აფილირებული და ორი ასოცირებული პროფესორი და თექვსმეტი მოწვეული პირი. მას აინტერესებდა, ხომ არ თვლიდა დაწესებულება, რომ განიცდიდა კადრების ნაკლებობას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში მიმდინარე ეტაპზე უკვე ჩართული იყო ხუთი პროფესორი, ვიანიდან ვიზიტის შემდგომ კონკურსის საფუძველზე აყვანილი იქნა კიდევ ერთი პროფესორი. ასევე მათ კარგად ჰქონდათ გააზრებული საათების რაოდენობა, შესაბამისად მათი დატვირთვა იყო რელევანტური. მათი მოსაზრებით პერსონალის რაოდენობა კარგად იყო გააზრებული და გადანაწილებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:35
დასრულების დრო: 15:50

აბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, კერძოდ, 1.2 კომპონენტის შეფასება ნაცვლად "ნაწილობრის შესაბამისია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", ხოლო 2.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", განსაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", თუმცა აღნიშნულმა ცვლილებებმა არ გამოიწვია სტანდარტების შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

აგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია და რჩევა:

ეკომენდაცია:

- პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართული ლიტერატურის მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აღნიშნული მოდული გამდიდრდეს სასწავლო კურსით, რომელიც ითვალისწინებს ლიტერატურული ჟანრების სიღრმისეულ სწავლებას.
- პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართული ლიტერატურის მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურის მოდულში, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში, ქართული სალიტერატურო პროოცესის სრული სურათის წარმოჩენისათვის გათვალისწინებული იყოს ქართული ლიტერატურის სხვადასხვა პერიოდისათვის შესაბამისი სასწავლო კურსები.
- ქართული ფილოლოგიის პროგრამის ორივე მოდულისათვის საერთო ენათა ბლოკის კურსებში შეტანილია მეგრულ-ლაზურის და სვანურის პრაქტიკული კურსები, მაგრამ რადგან პროგრამაში ცალკეა გამოყოფილი ქართველური ენათმეცნიერების მოდული, ამ მოდულის პროფილიდან გამომდინარე, ამავე მოდულში სავალდებულო კურსებად უნდა იკითხებოდეს მეგრულ-ლაზური და სვანური, თანაც არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ კურსები, რომლებიც მეგრულ-ლაზურის და სვანურის თეორიულ საკითხებს მოიცავენ (მით უმეტეს, რომ საბაკალავრო დონეზე მეგრულ-ლაზური და სვანური საერთოდ არ ისწავლება).
- მეგრულ-ლაზურის და სვანურს (და ბუნებრივია, ქართულის) კურსების გავლის შემდეგ ქართველური ენათმეცნიერების მოდულის სავალდებულო საგნად არჩევითებიდან უნდა გადმოვიდეს „ქართველურ ენა-კილოთა შდარებითი გრამატიკა“, ვინაიდან ქართველური ენათმეცნიერების მოდულის ძირითად საგნებში მოცემული ერთი განზოგადებული კურსი „ქართველური ფონემატური სტრუქტურა“ ვერ ამოწურავს საერთო ქართველურ საენათმეცნიერო პრობლემატიკას, რადგან ამ კურსის („ქართველური ფონემატური სტრუქტურა“) მიღმა რჩება ქართველური მორფოლოგია და სინტაქსი.
- ქართველური ენათმეცნიერების მოდულის შესაბამის სილაბუსებში ჩაემატოს პროგრამაში წარმოდგენილი მეგრულ-ლაზურის და სვანურის ენობრივი სტატუსის საპირისპირო მოსაზრებების ამსახველი კრებული, კერძოდ: „ქარ თველური ენები და დიალექტები“, (ერთი „სამეცნიერო პოლემიკის გამო“), არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, “Volkswagen-Stiftung”-ის პროექტი „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“, თბ., 2007.
- სასწავლო კურსი “კვლევის მეთოდები ქართულ ფილოლოგიაში” ერთნაირად უნდა მოიცავდეს როგორც ქართველური ენათმეცნიერების, ისე ქართული ლიტერატურის სასწავლო მასალას.
- რეკომენდებულია “PDCA” პრინციპის ფარგლებში, გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა სამიზნე ნიშნულების ფორმირების და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში.

ჩევა:

- პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართველური ენათმეცნიერების მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აღნიშნულ მოდულს უნდა დაემატოს შემდეგი კურსები: „ძველი ქართული ენა“, „ქართველური ლექსიკოლოგია“, „ქართველური ლექსიკოგრაფია“.
- პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან მიმართებით ქართველური ენათმეცნიერების მოდულის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აღნიშნული მოდულიდან ამოღებული უნდა იქნეს საგანი: „ქართული, როგორც უცხო ენა / ქართული უცხოელებისთვის“,რადგან ქართულის როგორც უცხო ენის სწავლების თემატიკა არ შედის წარმოდგენილი პროგრამის მიზნებსა და შედეგებში.

- სასურველია, დაკონკრეტდეს პროგრამის მიღების დარგობრივი წინაპირობები და დეტალურად განისაზღვროს, რომელი დარგის, მიმართულების, სპეციალობის კურსდამთავრებულებს ექნებათ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება.
- სასურველია კვლევითი საქმიანობის განვითარება, სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში. აქტივობების განხორციელება გაცვლითი პროგრამების ფარგლებში.

4.მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	24/01/2019, გადაწყვეტილება №30
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სატყეო საქმის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0821 - მეტყევეობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, კახა ბენდუქიძის კამპუსი, სავით აღმაშენებლის ხეივანი №240.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა, ერეკლე ასტახიშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, ნინო ლომიძემ განაცხადა, რომ პროგრამას შეცვლილი ჰქონდა სახელწოდება, წინა სახელწოდება გახლდათ „სატყეო საქმე“, ხოლო მიმდინარე სახელწოდება იყო „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“. პროგრამის კვალიფიკაცია არ შეცვლილა, შესაბამისად ცენტრის მხრიდან ინიცირებული იყო არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ საერთო ჯამში შესწავლილი იქნა ოთხი სტანდარტი, პირველი სტანდარტი შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასებული იყო როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ გაზრდილიყო პრაქტიკის კომპონენტის კრედიტების რაოდენობა პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებში, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო პროგრამის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების მიღწევადობა.
- სასწავლო კურსი „საველე პრაქტიკა“ საუნივერსიტეტო ზოგადი განათლებიდან გადატანილი უნდა ყოფილიყო პრაქტიკული განათლების შემადგენლობაში.
- მისანიჭებელი კვალიფიკაციის და სატყეო სფეროს სპეციფიურობის გათვალისწინებით მოდიფიცირება უნდა განეცადა და კონკრეტულად სატყეო მიმართულებაზე ყოფილიყო ორიენტირებული სასწავლო კურსების სილაბუსები: „საველე პრაქტიკა“ და „მუშაობა ორგანიზაციაში“.
- პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობიდან გამომდინარე ძირითადი განათლების სასწავლო კურსებს უნდა გაზრდოდა კრედიტები, როგორიც იყო: „დენდროლოგია“, „დენდრომეტრია“, „ტყის მართვა“, „ტყეთმცოდნეობა და მეტყევეობა“, „ ტყის გაშენება“.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ ძირითადი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსების: „მიწათმოქმედების საფუძვლები“, „აგროქიმია“, „მცენარეთა გენეტიკა“, „მცენარეთა სელექცია“ მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოყვანილი პროგრამის მიზანთან, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ ძირითადი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სასწავლო

მასალა შერჩეული უნდა ყოფილიყო სატყეო მიმართულების სპეციფიურობის გათვალისწინებით.
ექსპერტმა საბჭოს წევრებს ასევე გააცნო დასკვნაში ასახული ორი რჩევა, რომლის თანახმად სასურველი იყო სასწავლო კურსს „ტყის მართვა“ შეცვლოდა სათაური და ცამოალიბებულიყო როგორც „ტყის მართვის დაგეგმვა“. ასევე სასურველი იყო პროგრამის ძირითადი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსებში აუცილებელ მასალებში უცხოურ ლიტერატურასთან ერთად მითითებული ყოფილიყო შედარებით ახალი ქართული ლიტერატურაც, ან სტუდენტისათვის მიწოდებული ყოფილიყო სალექციო კურსი ქართულ ენაზე. ექსპერტა აღნიშნა, რომ ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, რომლის მიხედვით დაწესებულება არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ პირველ რეკომენდაციას ვინაიდან საკითხები გაწერილი იყო სხვადასხვა კურსებში.
ექსპერტმა დააზუსტა, რომ პირველი რეკომენდაცია გულისხმობდა სასწავლო პრაქტიკას, რაც მოთხოვნილი იყო სტანდარტის მიხედვით. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საველე პრაქტიკის ადგილმონაცვლეობას, დაწესებულება მიიჩნევდა, რომ აღნიშნული არ იყო მნიშვნელოვანი, თუმცა სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე ექსპერტები მიიჩნევდნენ რომ საველე პრაქტიკა იყო მნიშვნელოვანი. სტუდენტს აუცილებლად უნდა ჰქონოდა საველე გასვლები ტყეში. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულება მიიჩნევდა, რომ კრედიტები იყო საკმარისი. მათ ჰქონდათ კრედიტების სპეციალური კალკულაცია და არ მიიჩნევდნენმიზანშეწონილად ცვლილებების განხორციელებას. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი საგნების შინაარსი ცდებოდა სატყეო მიმართულებას. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ ლიტერატურა არ იყო ქართულენოვანი. ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა რაც წარმოადგენდა რეკომენდაციის შემუშავების მიზეზს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგდენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2019 წელს პროგრამა იყო აკრედიტებული, პროგრამა მოქმედებდა აკრეიტაციის უფლებამოსილების ფარგლებში. მისი მოსაზრებით და ინიციატივით სატყეო განათლება არ უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული მხოლოდ დაცულ ტერიტორიებზე არსებულ ენდემურ ტყეებზე. არსებობდა ურბანული ტყეები, პარკწები და ხელოვნური ლანდშაფტები. მათი მოსაზრებით აღნიშნული განათლება უფრო საინტერესო იქნებოდა ახალგზარდებისათვის ვიდრე ტრადიციული კონცენტრაცია მხოლოდ ენდემურ ტყეებზე და დაცულ ტერიტორიებზე. პროგრამა შეიცვალა იმ ფორმატით როგორც მას ჰქონდა გავლილი აკრედიტაცია და მოიცავდა ლანდშაფტის მენეჯმენტის საკითხებს, საპარკო საქმეს, კერძოდ ხელოვნური ლანდშაფტების მათ შორის ტყეთსარგებლობის ნაწილებს. გარკვეული დროის შემდგომ პროგრამის უკეთესი ბრენდინგისთვის უმჯობესი იქნებოდა პროგრამის სახელწოდება შესაბამისი ყოფილიყო მისი შინაარსის. სწორედ ეს გახლდათ მონიტორინგის საფუძველი, შეესაბამებოდა თუ არა შინაარსი პროგრამის სათაურს და არა ის თუ რამდენი კრედიტი უნდა ყოფილიყო კონკრეტულ საგანში. პროგრამაში ჩართული ყველა სტუდენტი გადიოდა საველე პრაქტიკას, რომელიც ტარდებოდა ტყეში, უნივერსიტეტი ფლობდა რამოდენიმე ჰექტარ დენდროლოგიურ პარკს, შესაბამისად იმისათვის რომ სტუდენტს ენახა ტყე არ იყო აუცილებელი მათი ტყეში გაგზავნა. ბაზარი ითხოვდა ხელოვნური ლანდშაფტების სპეციალისტებს, სწორედ ამ სფეროში იყო ყველაზე დიდი დასაქმების ბაზარი. პროგრამა პასუხობდა ბაზრის მოთხოვნას, რებრენდინგის ექსპერიმენტი რაც გამოიხატებოდა სახელის ცვლილებაში იყო წარმატებული, ექსპერტთა დასკვნაში ასახული იყო, რომ პროგრამის შინაარსი პასუხობდა მის ახალ სახელწოდებას. შესაბამისად მონიტორინგის პროცესი არ უნდა გადასულიყო აკრედიტაციის პროცესში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2019 წელს, როდესაც პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში ასახული რეკომენდაციები

დაწესებულების მიერ შესრულებული იყო დათქმულ დროში. შესაბამისი შესრულების შესახებ ანგარიში შესაბამისი მტკიცებულებებით გაგზავნილი იყო ცენტრში. ცენტრში ასევე წარდგენილი იყო სამ წელიწადში ერთხელ წარსადგენი თვითშეფასების ანგარიში შესაბამისი მტკიცებულებებით. აღსანიშნავი იყო, რომ მეტყევეების პროფესია არ იყო მიმზიდველი ახალგაზრდებისათვის, პროგრამის რებრენდინგმა მოიტანა შედეგი და გაცილებით მეტი მომავალი სტუდენტი დაინტერესდა პროგრამით. რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, პრატქიკის კუთხით გამოთქმულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღსანიშნავი იყო, რომ ცხადი იყო მუშაობა ორგანიზაციაში ვერ ამოიწურებოდა 3 კვირიანი პრაქტიკით, იმ კოპეტენციას და უნარჩვევებს რომელიც უნდა მიეღო სატყეო დარგის სპეციალისტს 3 კვირაში ვერ მიიღებდა, მაგრამ ის სწავლის მეთოდები და ფორმები, რომლებიც მათ სხვადასხვა სასწავლო კურსებში ჰქონდათ შეთავაზებული მუშაობდა პრაქტიკული კომპეტენციის გამომუშავებაზე. პრაქტიკული ან აქტიური სწავლების მეთოდი მოიცავდა სხვადასხვა ყველა იმ მეთოდს, რომელიც იყო ლაბორატორიული მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, სალექციო მეთოდი, დისკუსიები და ა.შ. აღნიშნული მეთოდები აქტიურად იყო გამოყენებული სპეციალურ საგნებში, როგორც იყო „დენდროლოგია“, „ტყის მართვა“, „ტაქსაცია“ და ა.შ. მათი მეცადინეობის 80% სწორედ მათ საკუთრებაში არსებულ დენდროლოგიურ პარკში მიმდინარეობდა. ასევე „მუშაობა ორგანიზაციაში“ არსებული პრაქტიკული უნარების გამოყენებით სრულიად საკმარისი იყო 3 კვირის მანძილზე. მათი პროგრამის კურსდამთავრებულებმა 3 კვირიანი პრაქტიკა „მუშაობა ორგანიზაციაში“ გაიარეს არაგვის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის პროცესში. პრაქტიკის დასრულების შემდგომ აღნიშნულმა სტუდენტებმა მიიღეს დასაქმების შემოთავაზება ჩეხი კოლეგებისგან. მათი კურსდამთვარებულები მუშაობდნენ ტაქსატორებათ, ჰქონდათ 100% იანი დასაქმება დარგში. დაწესებულება აუცილებლად მიიღებდა დასაბუთებულ სარწმუნო მსჯელობას თუ რატომ უნდა გაზრდილიყო კრედიტების რაოდენობა, რომელი საგნების კრედიტენის შემცირების ხარჯზე უნდა განხორციელებულიყო აღნიშნული ცვლილებები საგნებში. მაგრამ პროგრამის შედეგებიდან და სტუდენტების მიღწევებიდან გამომდინარე დაწესებულება ვერ გაიზიარებდა რეკომენდაციას და ვერ განახორციელებდა ცვლილებებს. პროგრამის სახელწოდების ცვლილებამ მოახერხა ის, რომ არამიმზიდველი პროფესია მიმზიდველი გამხდარიყო ახალგაზრდებისათვის და ამავე დროს შენარჩუნებული ყოფილიყო სატყეო დარგის და სფეროს ტრადიციული საფუძვლები და გაემრავალფეროვნებინათ დასაქმების სფეროები. დაწესებულება მოქმედებდა კლასიფიკატრის შესაბამისად სახელწოდების ცვლილების დროს და არანაირ გადაცდომას არ ჰქონია ადგილი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სილაბუსებიდან არ იკვეთებოდა, რომ სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას დენდროლოგიურ პარკში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამას შეეცვალა სახელწოდება და „სატყეო საქმის“ ნაცვლად ეწოდა „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ , ამავე დროს არ შეცვლილა პროგრამის კვალიფიკაცია. მას აინტერესებდა ვიანიდან სახელწოდებაში გამოჩნდა ტერმინი მენეჯმენტი დამატებული იყო თუ არა პროგრამაში მენეჯმენტის საკითხები და თუ შეამოწმეს ექსპერტებმა პროგრამის შინაარსი მენეჯმენტის კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ პროგრამის სახელწოდება მოარგეს პროგრამის შინაარსს. პროგრამაში გათვალისწინებული იყო ლანდშაფტის მენეჯმენტის საკითები, ასევე ექსპერტთა ჯგუფის შეფასებაც გახლდათ რომ პროგრამის სახელწოდება სწორად ასახავდა პროგრამის შინაარსს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა პროგრამის შემუშავების დროს სავალდებულო იყო თუ არა ტყის კოდექსის გათვალისწინება მიუხედავად იმისა ეთანხმებოდნენ თუ არა ტერმინებს. მას ასევე აინტეტრესებდა როგორ და სად ხორციელდებოდა პრაქტიკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტყის კოდექსი პროგრამის შემუშავებისათვის არ იყო სავალდებულო, მაგრამ გარკვეული მიდგომით გათვალისწინებული იყო ზოგიერთი საკითხი და მიდგომები. პროგრამაში საგნობრივად ისწავლებოდა ფუნდამენტური მიდგომები რაც ესაჭიროებოდა დარგს. ასევე ინსტიტუციას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები სატყეო სააგენტოსთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან და ყველა იმ ორგანიზაციასთან სადაც შეიძლებოდა ჩატარებულიყო „მუშაობა ორგანიზაციაში“ პრაქტიკა. პრაქტიკა იყო 3 კვირიანი, პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფდა პრაქტიკის ობიექტების შერჩევას და პრაქტიკაზე განსახორციელებელი სამუშაოების იდენტიფიცირებას. პრაქტიკის ხელმძღვანელი ასევე გამოყოფილი იყო ორგანიზაციიდანაც. პრაქტიკის ობიექტიდან დაბრუნების შემდგომ სტუდენტი წარმოადგენდა ანგარიშს, თუ რას აკეთებდნენ ყოველდღე პრაქტიკის ობიექტზე და შემდგომ წარმოადგენდნენ პრეზენტაციებს, რომლის საფუძველზეც ხდებოდა იდენტიფიცირება თუ რა პრაქტიკული უნარები გამოიმუშავეს.

საბჭოს წევრმა, თეა ჭედლურმა მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა, როგორც დაწესებულების წარმომადგენელი ბრძანებდა თუ დეტალურად იყო გაწერილი პრაქტიკა, რაში მდგომარეობდა მათი რეკომენდაცია.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სილაბუსში არ იყო გაწერილი საკითხები თუ რა მიმართულებით გაივლიდა სტუდენტი პრაქტიკას, შესაბამისად ამ მიზნით იყო გაცემული მათი რეკომენდაცია. სტანდარტის მოთხოვნა გახლდათ პრაქტიკული დავალების, საველე პრაქტიკის განხორციელებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული იყო ის მინიმალური კომპეტენციები რაც დაფარული უნდა ყოფილიყო პროგრამით. თუ პროგრამით იფარებოდა აღნიშნული კომპეტენცია, რა გახლდათ კრედიტების მომატების საფუძველი, რომელიც გაწერილი იყო რეკომენდაციაში. მას ასევე აინტერესებდა, ტყის მართვა და ლანდშაფტი კომპეტენციის დონეზე დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით ხომ არ იყო სამაგისტრო დონის და შეესაბამებოდა თუ არა ის საბაკალავრო დონეს. ასევე პროგრამის სტრუქტურა და სწავლის შედეგები გაწერილი იყო საინტერესოდ და ვრცლად, თუმცა სწავლის შედეგები დასაწყისში გაწერილი იყო რეზიუმირებულად, შემდგომ ჩაშლილად იყო გაწერილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, ხოლო შემდგომ ისევ ცალკე იყო გაწერილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი და ა.შ. მას აინტერესებდა რამ განაპირობა სწავლის შედეგების ასეთი ფორმულირება, ვინაიდან არსებითად მეორდებოდა ერთი და იგივე და რატომ არ იყო გაწერილი კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს ახალი მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული ფორმულირება გარკვეულწილად გაართულებდა სწავლის შედეგების შეფასებას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ კრედიტების მომატების თაობაზე რეკომენდაცია გამოწვეული იყო იმით, რომ სტანდარტი რომელიც შემუშავებული იყო 2019 წელს, მეორე კომპეტენციის სფეროს მიხედვით „ტყის მდგრადი მართვა და სატყეო სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელება“ პირდაპირ ითხოვდა თეორიულ სწავლებას და შემდგომ პრაქტიკული დავალებების განხორციელებას საველე პრიობებში. ვინაიდან სილაბუსებში ექსპერტებმა აღნიშნული საკითხი ვერ ნახეს, აღნიშნული მიმართულებით გაცემული იყო რეკომენდაცია დამატებოდა კრედიტი.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა კრედიტის დამატება გულისხმობდა თუ არა ასევე საკითხების დამატებას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ კრედიტის დამატებასთან ერთად იგულისხმებოდა საველე სამუშაოებში საკითხების დამატება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათ პროგრამა წარმოადგინეს იმ ფორმით როგორც ის იყო აკრედიტებული 2019 წელს. მუშაობა მიმდინარეობდა ახალი მოთხოვნების შესაბამისად სწავლის შედგების გაწერაზე. კონკრეტული მონიტორინგი ეხებოდა მხოლოდ სახელწოდების ცვლილებას, შესაბამისად პროგრამაში არ განხორციელებულა ცვლილებები. რაც შეეხებოდა საგანს „ტყის მართვა“, ისწავლებოდა მეოთხე

კურსის მეორე სემესტრში და თავს უყრიდა ყველა ცოდნას და კომპეტენციას რომელიც 4 წლის მანძილზე დააგროვა სტუდენტმა. საგანი მოიცავდა ტყის მართვას და პროცესების განხორციელების შესახებ ინფორმაციას იმ დარგობრივი კომპეტენციის დონეზე რომელიც სწორედ სამაგისტრო საფეხურისათვის ამზადებდა მათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:50
დასრულების დრო: 16:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საფუძველზე ჩატარებული არაგეგმიური მონიტორინგის ატმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეას ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება .

5.მეხუთე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 20 აგვისტო, გადაწყვეტილება №807935
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 - მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010 ქ. ბათუმი, ნინოშვილი/რუსთაველის ქ. N35/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა თამარ სირაძემ და თეა მჭედლურმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს მიერ გაცემული იყო ჩვიდმეტი რეკომენდაცია და ათი რჩევა, სასიამოვნოდ გაკვირვებულები დარჩნენ ექსპერტები ვინაიდან აღნიშნული რეკომენდაციები და რჩევები პრაქტიკულად სრულად იყო შესრულებული ინსტიტუციის მიერ. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა სამი რეკომენდაცია, რომლებიც გავლენას არ ახდენდნენ პროგრამის შედეგის მიღწევაზე. ერთერთი

რეკომენდაცია ეხებოდა საატების რაოდენობას, ვინაიდან წინა აკრეიტაციის საბჭოს რჩევის თანახმად სასურველი იყო საათების გადანაწილების კორექტირება. ინსტიტუციამ განახორციელა ცვლილება და პროგრამაში და სილაბუსებში საათების რაოდენობა მოყვანილი იყო შესაბამისობაში, თუმცაღა ტექნიკურად გამორჩენილი იყო ის, რომ მედიცინის პროგრამების საერთაშორისო მარეგულირებელი დოკუმენტით ევალებოდათ შეესრულებინათ 5500 საათი საკონტაქტო საათი. ასევე წინა რეკომენდაციით გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსების წინაპირობების ცვლილება, უმრავლეს სილაბუსებში წინაპირობები დაკორექტირებული იყო, თუმცა რამოდენიმე სილაბუსში წინაპირობა მოითხოვდა მოდიფიცირებას და სხვაგვარად ჩამოყალიბებას.ასევე სრულად არ იყო გასწორებული საათობრივი საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების გადანაწილება სილაბუსებში, რაც ექსპერტების მოსაზრებით იფრო მეტად იყო ტექნიკური ხარვეზი და აღნიშნულის თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პასუხში არ იყო საუბარი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიც ია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინსტიტუციას მხედველობაში ჰქონდა მიღებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული და შემდგომ საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, რეკომენდაციბი სრულად იქნა გათვალისწინებული. დაწესებულებაში ჭატარდა საბჭოს სხდომა რომელიც მიეძღვნა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას და ცნობად იქნა მიღებული მათი გათვალისწინება. დაწესებულებას მიაჩნდა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები მიმართული იყო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ. რაც შეეხებოდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაცემულ სამ რეკომენდაციას, აღსანიშნავი იყო, რომ საკონტაქტო საათები პროგრამაში შეადგენდა 5399 საათს. სტანდარტს რომლითაც საკონტაქტო საათი განსაზღვრული იყო 5500 საათით, მათი პროგრამა ჩამორჩებოდა 101 საათით, თუმცა დაწესებულება მუშაობდა აღნიშნული საათების ათვისებაზე. რაც შეეხებოდა კონკრეტულ სასწავლო კურსებში საათების გადანაწილებას და ცალკეულ სასწავლო კურსებთან წინაპირობების განსაზღვრას, აღნიშნული რეკომენდაციები შესრულებული იყო, თუმცა ადგილი ჰქონდა გარკვეუკლ ტექნიკურ ხარვეზს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:45
დასრულების დრო: 17:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე ჩატარებული მონიტორინგის ატმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე

პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეას სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 9 დეკემბრის 17:00 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით